

ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი პირველი შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე, მოქალაქე ნარგიზა ვერულაშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ნარგიზა ვერულაშვილის განცხადება /2012 წლის 07.03 Nგ-1960/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი პირველი შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N27 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი პირველი შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნარგიზა ვერულაშვილს /პირადი N60001086550/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი პირველი შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე /საერთო ფართობი 45,12 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 45,12 კვ.მ, საერთო სარგებლობის ფართობი 4,87 კვ.მ, ღია აივანი 1,80 კვ.მ./ მოქალაქე ნარგიზა ვერულაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

